ხელშეკრულება 32

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 2018 წლის 27 აპრილს

ერთის მხრივ, ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი" წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ გოგობერიშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „რესტორატორის" მენეჯერის გიორგი ბაბალაშვილის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან #3 განყოფილებისათვის, ქორეთის განყოფილებისათვის და კორბოულის განყოფილებისათვის საზოგადოებრივი კვების ობიექტების მცირე აღჭურვილობა (ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა ორგანყოფილებიანი) შესყიდვა **(CPV39300000- კოდით)** გამარტივებული წესით.

2. "საქონელი"

2.1 „საქონლის" მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 „საქონელის" ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 საქონლის საერთო ღირებულება მიმწოდებლის ხარჯების გათვალისწინებით განისაზღვრება 2 605,00 (ორი ათას ექვსას ხუთი) ლარის ოდენობით.

4. „საქონელის" მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 „საქონელის" მიწოდება განხორციელდება ერთდროულად. 2018 წლის 27 აპრილი

4.2 „საქონელის" მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, გამყიდველის სავაჭრო ობიექის ადგილსამყოფელი.

5. „საქონელის" მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „საქონელის" მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ ამოწერილი სათანადო დოკუმენტით. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. სასაქონლო ზედნადებზე/მიღება ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ,,შემყიდველი" ადასტურებს, რომ მიღებული ,,საქონელი" შეთანხმებული რაოდენობისაა და ნივთობრივად უნაკლოა.

6. ანგარიშსწოების წესი, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2 „საქონელის" ღირებულების ანაზრაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან და სხვა დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. საჩხერე.

,,შემსყიდველი" _____ ,,მიმწოდებელი" _____

ხელშეკრულება 32

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. თბილისში, 2018 წლის 27 აპრილს

ერთის მხრივ, ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი" წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ გოგობერიშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „რესტორატორის" მენეჯერის გიორგი ბაბალაშვილის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან #3 განყოფილებისათვის, ქორეთის განყოფილებისათვის და კორბოულის განყოფილებისათვის საზოგადოებრივი კვების ობიექტების მცირე აღჭურვილობა (ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა ორგანყოფილებიანი) შესყიდვა **(CPV39300000- კოდით)** გამარტივებული წესით.

2. "საქონელი"

2.1 „საქონლის" მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 „საქონელის" ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2 საქონლის საერთო ღირებულება მიმწოდებლის ხარჯების გათვალისწინებით განისაზღვრება 2 605,00 (ორი ათას ექვსას ხუთი) ლარის ოდენობით.

4. „საქონელის" მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 „საქონელის" მიწოდება განხორციელდება ერთდროულად. 2018 წლის 27 აპრილი

4.2 „საქონელის" მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, გამყიდველის სავაჭრო ობიექის ადგილსამყოფელი.

5. „საქონელის" მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „საქონელის" მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ ამოწერილი სათანადო დოკუმენტით. მიღება-ჩაბარების აქტი დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით. სასაქონლო ზედნადებზე/მიღება ჩაბარების აქტზე ხელმოწერით ,,შემყიდველი" ადასტურებს, რომ მიღებული ,,საქონელი" შეთანხმებული რაოდენობისაა და ნივთობრივად უნაკლოა.

6. ანგარიშსწოების წესი, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

6.2 „საქონელის" ღირებულების ანაზრაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან და სხვა დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. საჩხერე.

,,შემსყიდველი" _____ ,,მიმწოდებელი" _____

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული „საქონელის" ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებული ვალდებულია:

- გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 ,,საქონლის" მიღებისა და მისი საფასურის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, ,,შემყიდველი" ვალდებულია გადაუხადოს ,,მიმწოდებელს" პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 1,0%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, მოთხოვნის შემთხვევაში. პირგასამტეხლოს მოთხოვნა მყიდველისათვის შესაძლოა წარდგენილ იქნეს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი აქტით, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი გადასახდელი პირგასამტეხლოს კალკულაცია. მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია უპირობოდ გადაიხადოს მოთხოვნილი პირგასამტეხლო.

8.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზრაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2018 წლის 27 მაისის ჩათვლით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი

,,შემსყიდველი" _____ ,,მიმწოდებელი" _____

მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვს შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ თბილისის საქალაქო სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზრაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

არასამეწარმეო იურიდიული პირი
„საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“
მისამართი: საჩხერე, თავისუფლების ქ#3
სახელმწიფო ხაზინა ერთიანი ანგარიში
საიდენტიფიკაციო ნომერი:239396346
არასამეწარმეო იურიდიული პირი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს „რესტორატორ“
მისამართი: ქ. თბილისი, დიღმის მასივი, IIIკვ. კორ 6 ვ.
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „ვითიბი ბანკი“
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის ნომერი: GE09VT6600001111173602
საიდენტიფიკაციო ნომერი: 401959047

„საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“
დირექტორი:

მ. გოგობერიშვილი

,,შემსყიდველი“ _____

შ.პ.ს „რესტორატორ“-ის
მენეჯერი:

გ. ბაბალაშვილი

,,მიმწოდებელი“ _____

დანართი #1

ჩამონათვალი ერთეულის ფასების მიხედვით

#	დასახელება	კოდი	განზომილება	რაოდენობა ცალი	ერთეულის ფასი	საერთო თანხა
1	უჟ/ფოლადის ორ განყოფილებიანი ნიჟარა საზურგით. ზომები: 1400X700X850+150	39311000	ცალი	1	1085.00	1085.00
2	უჟ/ფოლადის ორ განყოფილებიანი ნიჟარა სამუშაო მაგიდით მარჯვნივ და საზურგით. ზომები: 1750X700X850+140	39311000	ცალი	2	760.00	1520.00
						2605.00

ა.ი.პ "საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის "
დირექტორი: მ. გოგობერიშილი

შ.პ.ს "რესტორატორ"-ის მენეჯერი: გ. ბაბალაშვილი